

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 30 ოქტომბრის №2215/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი კომბინირებული ნიშანი "Slazenger" (+გამოსახულება) გამოსახულებითი ნაწილით მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის "KONÉ Malamine" (მისამართი: 8, allée Auguste Renoir, F-92300 LEVALLOIS-PERRET) სახელზე რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული შემდეგი ნიშნებისა: 1. (გამოსახულებითი ნიშანი) მე-3, მე-18, 25-ე და 28-ე კლასებისათვის რეგისტრირებული (საერთაშორისო რეგისტრაციის №917690; საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი 11.08.2006); 2. "AIRNESS" (+გამოსახულება) მე-18, 25-ე და 28-ე კლასებისათვის რეგისტრირებული (საერთაშორისო რეგისტრაციის №804293; საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი 28.05.2003); 3. "AIRNESS" (+გამოსახულება) მე-3, მე-18, 25-ე და 28-ე კლასებისათვის რეგისტრირებული (საერთაშორისო რეგისტრაციის №917576; საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი 11.08.2006). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ადგილი აქვს ნიშნებს შორის გამოსახულებითი ნაწილით მსგავსებას, რაც ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას, რის გამოც, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

აპელანტი კომპანია „სლაზენგერს ლიმიტიდ“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებულ და დაპირისპირებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნებს შორის არსებობს საკმარისი განსხვავება იმისათვის, რომ არ მოხდეს მომხმარებლის მიერ ამ სასაქონლო ნიშნებით მონიშნული ერთგვაროვანი საქონლის მწარმოებელი კომპანიების ერთმანეთში აღრევა. აპელანტის პოზიციით, განცხადებული და დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნები განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც ვიზუალურად, ასევე უღერადობით. კერძოდ, განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია და შედგება პანტერას გამოსახულებისა და

სიტყვისაგან "Slazenger", რომელიც აპელანტის საფირმო დასახელებას წარმოადგენს. აპელანტის პოზიციით, ორი დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია და შეიცავს სხვადასხვა სტილით ჩაწერილ ერთი და იგივე სიტყვას "AIRNESS" და პანტერას გამოსახულებას. განცხადებული და დაპირისპირებული კომბინირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნების სიტყვიერი ნაწილები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც მკვეთრად ზრდის აპელანტის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელუნარიანობას ამ ორ დაპირისპირებულ ნიშანთან მიმართებაში. გარდა ამისა განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანში მისი საფირმო დასახელების არსებობა პირდაპირ მიანიშნებს მწარმოებელზე და ფაქტიურად სრულად გამორიცხავს მომხმარებელთა მხრიდან ამ სასაქონლო ნიშნებით მონიშნული საქონლის მწარმოებელი კომპანიების ერთმანეთში აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობას. აპელანტის განმარტებით, განცხადებული საერთაშორისო ნიშნის გამოსახულებითი ელემენტისა და დაპირისპირებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნების გამოსახულებითი ელემენტების შედარებითი ანალიზის განხილვისას აღსანიშნავია, რომ განცხადებული საერთაშორისო ნიშნის გამოსახულებითი ელემენტი, ისევე როგორც დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნების გამოსახულებითი ელემენტები, ნიშნების გამოსახულებითი ელემენტების საერთაშორისო კლასიფიკაციის (ვენის კლასიფიკაცია) თანახმად მიეკუთვნება ამ კლასიფიკაციის ერთი და იგივე კატეგორიასა და სერიას, მაგრამ სხვადასხვა ჯგუფს: განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის შემთხვევაში ეს არის 03.01.21 - ოთხკიდურიანი ძუძუმწოვრები, კერძოდ ვეფხვები ან სხვა დიდი ცხოველები კატისებრთა ოჯახიდან მხტომარე მდგომარეობაში, მაშინ როცა დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნების შემთხვევაში - 03.01.04 ეს არის მარტივი ოთხკიდურიანი ძუძუმწოვრები, კერძოდ ვეფხვები ან სხვა დიდი ცხოველები კატისებრთა ოჯახიდან. აპელანტის პოზიციით, განმასხვავებელ ნიშნად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის შემთხვევაში ცხოველის მოძრაობა ნახტომში მიმართულია მარცხნივ, ხოლო დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნების შემთხვევაში

ცხოველი ისეა გამოსახული, თითქოს ის ნელა მოძრაობს მარჯვნივ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი “Slazenger IR 1130599 და სხვა მისი მსგავსი სასაქონლო ნიშნები დაცულია შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყებაში აპელანტი კომპანიის სახელზე, მას არ შექმნია წინააღმდეგობა დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნების, რომელთა წარმოშობის ქვეყანაც საფრანგეთია, მფლობელის მხრიდან. აპელანტის განმარტებით, სამივე დაპირისპირებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანში პანტერას გამოსახულება ასოცირდება ტანსაცმელთან, განსაკუთრებით სპორტული ტანსაცმელთან, საქართველოში გერმანული კომპანიის „პუმა სე“-ს სახელზე დაცულ და ძალიან კარგი რეპუტაციის მქონე სასაქონლო ნიშანთან, რომელიც წარმოადგენს პუმას გამოსახულებას. ნიშანდობლივია, რომ არა ერთმა ქვეყანამ ჩათვალა, რომ შესაძლებელია, მაგალითად ტანსაცმლისათვის ისეთი სასაქონლო ნიშნების თანაარსებობა, რომლებიც შეიცავენ კატისებრთა ოჯახის ცხოველთა გამოსახულებების სხვა და სხვა ვარიაციებს, რაც ბადებს ეჭვს იმის შესახებ, რომ კატისებრთა გამოსახულებებზე არ მოდის დიდი დატვირთვა განმასხვავებლობის კუთხით. აქედან გამომდინარე კომბინირებულ სასაქონლო ნიშნების სიტყვიერ ნაწილებს შორის არსებული მნიშვნელოვანი სხვაობა (ვიზუალური და ფონეტიკური) „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ ინსტრუქციის” მე-18 მუხლის, მე-6 პუნქტის თანახმად იძლევა საშუალებას იმის მტკიცებისა, რომ საერთო შთაბეჭდილება ნიშნებს შორის იმდენად სხვადასხვანაირია, რომ გამორიცხულია აღრევის, მათ შორის ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა. ამასთან აპელანტმა საქმის ზეპირი მოსმენის სხდომის დროს მაგალითად მოიყვანა სასაქონლო ნიშნების „CAMEL“-„SAFARI“-ს საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილება. აპელანტის განმარტებით, ნიშანში „CAMEL” ერთი აქლემის გამოსახულება იყო სასაქონლო ნიშანში „SAFARI” სამი აქლემის გამოსახულება, აღნიშნულ საქმეზე სააპელაციო პალატის მიერ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილება შეიცვალა, რადგან სასამართლომ ჩათვალა, რომ აპელანტს განსაკუთრებული უფლება ჰქონდა ცალკე აქლემზე, რადგან აქლემის გამოსახულება ცალკე იყო მოპოვებული ყოველგვარი სიტყვიერი

აღნიშვნების გარეშე. მოცემულ შემთხვევაშიც ანალოგიურ შემთხვევას ეხება საქმე, რომ მართალია განცხადებულ ნიშანში გამოიყენება პუმას გამოსახულება, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ განსხვავებულია განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების სიტყვიერი ნაწილები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 30 ოქტომბრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №2215/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „Slazenger“ (საიდ. №69319/03 IR 1130599) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას და მიიჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „Slazenger“ (საიდ. №69319/03 IR 1130599) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები „AIRNESS“ (IR 917576); „AIRNESS“ (IR 804293) და გამოსახულებითი ნიშანი IR 917576 წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია, ვიზუალურად, რადგან განცხადებული ნიშანი წარმოადგენს კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს, კერძოდ სიტყვიერი აღნიშვნის „Slazenger“ გარდა შეიცავს ასევე შავი ფერის ავაზას გამოსახულებას, რომელიც მოთავსებულია სიტყვიერი ნაწილის თავზე. რაც შეეხება დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს „AIRNESS“ (IR 917576) და „AIRNESS“ (IR 804293), აღნიშნული დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნებიც წარმოადგენენ ასევე კომბინირებულ

სასაქონლო ნიშნებს, კერძოდ სიტყვიერი ნაწილის „AIRNESS“ გარდა შეიცავენ ასევე შავი ავაზას გამოსახულებას, რომელიც ერთ ნიშანში მოთავსებულია სიტყვიერი ნაწილის თავზე, ხოლო მეორე ნიშანში სიტყვიერი ნაწილის ქვეშ. რაც შეეხება მესამე დაპირისპირებულ ნიშანს, იგი გამოსახულებითა და შეიცავს შავი ავაზის გამოსახულებას, რომელიც ცალკე არის დაცული. აღნიშნული გამოსახულებითი ნიშნის გამოსახულების ცალკე რეგისტრაცია გულისხმობს, იმას, რომ სწორედ შავი ავაზა არის დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის პროდუქციის განმასხვავებელი არსებითი სიმბოლო სხვა კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციისაგან. მიუხედავად განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების სიტყვიერი ნაწილების განსხვავებისა მათ აქვთ აღრეკამდე მსგავსი გამოსახულებითი ნაწილი, კერძოდ მომხმარებლისათვის როგორც განცხადებულ, ისე დაპირისპირებულ ნიშნებში დასამახსოვრებელია შავი ცხოველის არსებობა, რომელსაც მომხმარებელი მიაკუთვნებს ძუძუმწოვარ კატისებრთა ოჯახის მტაცებელს. სწორედ აღნიშნული ცხოველი, მისი მოძრაობის მიმართულების მიუხედავად, მომხმარებლის მიერ აღიქმება ერთი და იგივე გამოსახულებად, რაც ზრდის სასაქონლო ნიშნების აღრევის მათ შორის ასოცირების შედეგად აღრევის და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. კომბინირებული სასაქონლო ნიშნების შედარებისას გასათვალისწინებელია ასევე მათი გამოსახულებების მსგავსების ხარისხიც, რაც მოცემულ შემთხვევაში საკმაოდ დიდია, მომხმარებელი განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის შეხედვისას პირველად აღიქვამს და აქცევს ყუარდლებას აღნიშნულ სასაქონლო ნიშნებში არსებულ ცხოველის გამოსახულებას და შემდეგ უკვე აკვირდება და აღიქვამს მათ სიტყვიერ ნაწილებს. მსგავსია ასევე, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალი, რაც ასევე ზრდის ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას საქონლის მწარმოებლის მიმართ. ამასთან, აპელანტის მიერ მოყვანილი მაგალითის „CAMEL” - „SAFARI“-ის სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებით, სასამართლომ განმარტა, რომ სასაქონლო ნიშანში „CAMEL” განმასხვავებელუნარიანობის მატარებელია ერთკუხიანი აქლემის გამოსახულება, რომელიც დაპირისპირებულ ნიშანში

განსხვავებული რაოდენობით და მიმართულებით დატანის მიუხედავად, სასაქონლო ნიშანში „SAFARI” შემავალი სიმბოლოს მსგავსია. მოცემულ შემთხვევაშიც დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების გამოსახულებაზე ანუ შავ ავაზაზე მოდის განმასხვავებლობის ძირითადი დატვირთვა, რადგან დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელ კომპანიას ცალკე სიმბოლოდ აქვს გამოსახულების სახით დაცული შავი ავაზა, ამიტომ მისი გამოყენება განცხადებულ ნიშანში მისი მოძრაობის მიმართულების მიუხედავად და განსხვავებული სიტყვიერი ნაწილების მიუხედავად ვერ სძენს განცხადებულ ნიშანს იმ დონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „Slazenger” (საიდ. №69319/03 IR 1130599) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა ო ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „სლაზენგერს ლიმიტიდ“-ის (Slazengers Limited) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და

გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 30
ოქტომბრის №2215/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო
ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის
რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში
(მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების
გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ქ. ქ.

წევრები:

ი. გიქორაშვილი

დ. ჭიჭინაძე